

# დანაშაულის ცნების გერმანული და გენევისური მოდელების შედარებითი ანალიზი

## გურამ ნაჭყებია

*ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ემერიტუს-პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ფილოსოფიური და იურიდიული აკადემიების აკადემიკოსი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი*

**საკვანძო სიტყვები:** ქმედება, მართლსაწინააღმდეგო, ინდუქცია

**შენიშვნა 1.** სტატიის ძირითადი იდეა მოხსენდა ხსენებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულებასთან არსებულ მეთოდოლოგიურ სემინარს, რომლის სხდომას ესწრებოდნენ საქართველოში მოღვაწე როგორც ცნობილი, ისე ახალგაზრდა მეცნიერები.

**შენიშვნა 2.** სტატიაში გამოთქმულ იდეებზე ლაპარაკია ჩემს სხვა, უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც, მაგრამ, ჯერ ერთი, სტატიაში დასმული პრობლემა უაღრესად აქტუალურია და ამიტომ მას უფრო კონკრეტული ანალიზი სჭირდება. მეორეც, როგორც დავინახავთ, ამ მხრივ პრობლემების წარმოქმნას ხელს უწყობს მეთოდოლოგიურ-ფილოსოფიური მიდგომების უგულებელყოფა, რის გამოც რიგი გაუგებრობა დღემდე გრძელდება.

**შენიშვნა 3.** სტატიაში ზოგიერთი ჩემი კოლეგის მოსაზრება კრიტიკულადაა მოხსენებული, მაგრამ მათდამი ღრმა პატივისცემისა და მეცნიერული დისკუსიის ეთიკური ნორმების სრული დაცვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის 1-ელ ნაწილში გადმოცემულია დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი, რომლის თანახმად, უკვე ჩადენილი ქმედება დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის, ამ ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის დადგენის ლოგიკური თანმიმდევრობით.

დანაშაულის ცნების გერმანული მოდელის ნეოკანტიანური გაგება საფუძვლიანად გააკრიტიკა პროფესორმა გიორგი თოდრიამ,<sup>1</sup> ხოლო ჩვენ დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შევასაფასეთ და მივედით დასკვნამდე, რომ იგი აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ინტერესებს, მაგრამ ვერ პასუხობს ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციისადმი წარდგენილ მოთხოვნებს.<sup>2</sup> საქმე ის გახლავთ, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის პრაქტიკული განხორციელება მართლზომიერია, თუ ამ შემადგენლობის განხორციელების დროს არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი თუნდაც ერთი რომელიმე გარემოება. და მაშინ საქმე ეხება ე. წ. გამამართლებელ გარემოებას.<sup>3</sup> აქედან გამომდინარე, თითქოს ლოგიკურია თითქმის გაბატონებული მტკიცება, რომლის თანახმად, თუ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების დროს არ არსებობდა ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება, მაშინ ეს შემადგენლობა განხორციელებულია მართლწინააღმდეგოდ.<sup>4</sup> ამგვარ დასკვნას აკეთებს პროფ. ო. გამყრელიძე.<sup>5</sup>

- 1 გ. ნაჭყებიას საიუბილეო კრებული, 2016. თბილისი.
- 2 ნაჭყებია გ., 2015. პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. თბილისი, გვ. 222-234.
- 3 უფრო ვრცლად იხ. პროფ. ტურავა მ., 2011. დანაშაულის მოძღვრება. თბილისი, გვ. 326.
- 4 ტურავა მ., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, გვ. 164.
- 5 სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 3. 2013.

უცნაურიც კია, თუ რატომ არაა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება მართლწინააღმდეგოდ, თუ ამ შემადგენლობის განხორციელების დროს არ არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება? ეტყობა, საქმის ვითარება ასე მარტივად არაა. ამდენად, ჩვენი კოლეგებისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ეს გაბატონებული თუ არა, გაგრძელებული მოსაზრება, ვფიქრობთ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გადასინჯვას მოითხოვს.

საქმე ის გახლავთ, რომ ქმედების შემადგენლობა, მისი ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ბუნებით, არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობა, პირიქით, შეფასებით (ღირებულებით) მსჯელობას წარმოადგენს.<sup>6</sup>

ფილოსოფიის ანბანური ქეშმარიტებაა ის დებულება, რომ ფაქტიდან ნორმაზე, აღწერილობიდან შეფასებაზე (ფილოსოფიურად რომ ვთქვათ – არსიდან ჯერარსზე) – პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს და ამიტომ ეს გადასვლა შეიძლება იყოს მხოლოდ ინდუქციური (სავარაუდოდ). მართლაც, ინდუქციის მიზანია ცნობილიდან (ჩვენს შემთხვევაში – ქმედების შემადგენლობიდან – გ.წ.) უცნობზე (ჩვენს შემთხვევაში – ქმედების მართლწინააღმდეგობაზე – გ.წ.) გადასვლა, რის შედეგადაც ყალიბდება ზოგადუსასრულო, აუცილებელი მსჯელობა. ეს კი შესაძლებელია ზოგადი ვარაუდების საფუძველზე.<sup>7</sup> უფრო მეტიც, სამართლის ნორმაშეფარდების პრობლემატიკა აწყდება კერძოდან (ქმედების უკვე განხორციელებული კონკრეტული შემადგენლობიდან ზოგად ნორმაზე (ესე იგი კერძოდან ზოგადზე) გადასვლის პრობლემასაც, რადგან ამ მიმართებით იქმნება ახალი ინდუქცია. პროფ. ს. წერეთელი წერდა, რომ კერძოს ზოგადში

თბილისი, გვ. 169–170.

- 6 Ткешелиадзе Г. Т., 1975. Судебная практика и уголовный закон. Тбилиси, стр. 51-54.
- 7 ჯიბუტი გ., 1975. ინდუქციური დასკვნის ბუნებისათვის, თბილისი, გვ. 121.

გადასვლის ალბათობა ინდუქციურია.<sup>8</sup>

ამრიგად, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობიდან მის მართლწინააღმდეგობაზე გადასვლას ორი სახის ინდუქცია სჭირდება: 1. ფაქტიდან შეფასებაზე და 2. კონკრეტული საკანონმდებლო შემადგენლობიდან, როგორც კერძოდან, მის ზოგადსამართლებრივ შეფასებაზე გადასვლისა. მაგრამ ამჯერად აქცენტს ინდუქციის პირველ სახეზე ვაკეთებთ—ქმედების შემადგენლობიდან, როგორც ფაქტიდან, მის მართლწინააღმდეგობაზე გადასვლის პრობლემატიკის მიხედვით.

ვაზუსტებთ: ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ნიშნებს შორის გვხვდება შეფასებითი ნიშნებიც (მაგალითად, „არსებითი“ თუ „მნიშვნელოვანი“ ზიანი). ამის მიუხედავად, ქმედების ეს შემადგენლობა, საბოლოოდ მაინც, არაა შეფასებითი. ამიტომ ამ შემადგენლობიდან, როგორც ფაქტიდან, მის მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური დასკვნა, (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობისას), სწორი არ იქნება, რადგან ამ პოზიციიდან პოზიტიურად მტკიცდება, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, თუ მათემატიკურად ვიმსჯელებთ, მაშინ აშკარაა, რომ ქმედების შემადგენლობა უდრის მის მართლწინააღმდეგობას. ამ პოზიციიდან კი, როგორც ჩანს, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არ არსებობს. მაშასადამე, ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი არსებობს და მაშინ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება მის მართლწინააღმდეგობას ჯერ კიდევ არ უდრის. აქედან ერთადერთი გამოსავალი არსებობს: თუ განხორციელებულია ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა და ამავე დროს არ არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი

**რომელიმე გარემოება, მაშინ ქმედების მართლწინააღმდეგობა გამომრიცხველი არაა, მაგრამ დასკვნა ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ ინდუქციურია (სავარაუდოა).**

ამრიგად, ირკვევა, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში გამომრიცხველია მხოლოდ ქმედების მართლწინააღმდეგობა და არა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა. თვალსაზრისი, რომელიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში გამომრიცხავს ქმედების შემადგენლობასაც, როგორც ცნობილია, შემადგენლობის ე. წ. „ნეგატიური ნიშნების „თეორიად იწოდება. ეს თეორია, იმის გამო, რომ იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასაც გამომრიცხავს, იძულებულია, დანაშაულის სამკვალის სისტემის ნაცვლად მისი ორკვალის სისტემა ააგოს (ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი). მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გარეშე არც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხვის საკითხი არ დადგება? გარდა ამისა, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის გამომრიცხვა ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამართალში მხოლოდ ორი სახის ქმედება – მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო – არსებობს და მესამე გამორცხულია. სამწუხაროდ, ამ დასკვნამდე მივყავართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 თავს, რომელშიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების გადმოცემა იწყება ნეგატიური წესით: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც „და შემდეგ, როგორც ტექსტშია. ისე ჩანს, ვინც არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თითქოს მოქმედებს მართლზომიერად, მაშინ, როდესაც ის, ვინც არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, შეიძლება არც

8 წერეთელი ს., 1965. დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, გვ. 632.

მართლზომიერად მოქმედებდეს. ასეთია სწორედ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, რომელიც არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო და ამიტომ არის „მესამე“, როგორც ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის კავშირის ფორმა.

ამრიგად, ვიმეორებთ: მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობისას ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობიდან დასკვნა მის მართლწინააღმდეგობაზე ატარებს ინდუქციურ, სავარაუდო ხასიათს. ქმედების მართლწინააღმდეგობის სავარაუდო ხასიათი ბრალის სავარაუდო ხასიათზეც მიუთითებს, რადგან ბრალის ფორმებიდან ბრალზე დასკვნაც ინდუქციურია (სავარაუდოა). ამ პოზიციიდან ადვილი მისახვედრია, რომ საქმე ეხება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სფეროს, როცა ბრლდებული, თვისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, ჯერ კიდევ არაბრალეულია. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.“

თუ გავიზიარებთ თითქმის გაბატონებულ ტენდენციას, რომლის თანახმად, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ, თუ ამ შემადგენლობის განხორციელების დროს არ არსებობდა ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ ჩვენ ლოგიკურად გადავდივართ ქმედების მართლწინააღმდეგობის პოზიტიურ მტკიცებაზე. ეს პოზიცია კი, თავის მხრივ, ბრალის პოზიტიურ მტკიცებასაც მოითხოვს. ამ გზით ჩვენ ქმე-

დების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის სფეროში გადავდივართ. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დაედოს ვარაუდი.“ მაშასადამე, ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის მიმართების ტრადიციული გაგება ლოგიკურად გადადის ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის სფეროში და სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სფერო უგულებელყოფილი გამოდის.

სამწუხაროდ, თუ ვერწმუნებით მტკიცებას, რომ სისხლის სამართლის სფეროში არ არსებობს სამართლებრივად ნეიტრალური ქმედება, რაკი ქმედება აკრძალულია, მაშასადამე, მისი ჩადენა მართლსაწინააღმდეგოა,<sup>9</sup> – მაშინ ქმედების შემადგენლობა არ არსებობს, რადგან იგი სწორედაც რომ სამართლებრივად ნეიტრალურია, ესე იგი, შეფასებითი კატეგორია არ არის. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ სამართალში მხოლოდ ორი სახის ქმედება არსებობს – მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო და მესამე გამორიცხულია.<sup>10</sup> სამართალში ორი დაპირისპირებული ქმედება – მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო – მართლაც არსებობს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომამ შეფასებითი კატეგორიების კავშირის ფორმას ქმედების შემადგენლობა წარმოადგენს და იგი გამორიცხული კი არაა, არამედ რეალურად არსებობს და დადგენას მოითხოვს. ამ დებულების უფრო ღრმა დასაბუთებისათვის აქ მოკლედ მაინც აღვნიშნავთ: გავრცელებული ტერმინი „დანაშაულის ჩადენა“ იმდენად ზედაპირულია, რომ იგი საკმაოდ დიდ პირობითობას მოიცავს. მაგალითად, მკვლელობა კონკრეტული დანაშაულია და განიმარტება, როგორც სხვა ადამიანის

9 Baumann (Wtber) Mitsch, Srafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 1995, s. 281- 282.

10 Roxin C. 2006. Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1. Munchen, s. 197.

სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი მოსპობა. ესაა მკვლელობის ცნება. მკვლელობის, როგორც დანაშაულის, ჩადენა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-114-ე მუხლები, ესე იგი, მკვლელობის საკანონმდებლო შემადგენლობანი, – ზედმეტად უნდა მიგვეჩინო. მაშასადამე, პრაქტიკულად დანაშაულის არც ზოგადი ცნება ხორციელდება და არც კონკრეტული დანაშაულის ცნება. ცნება, როგორც აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა, გარესინამდვილისადმი ადამიანის თეორიულ, შემეცნებით დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივ პრაქტიკაში ხდება. რამდენადაც გარესინამდვილისადმი ადამიანის თეორიული, შემეცნებითი დამოკიდებულება მის პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებაზე არ დაიყვანება, დანაშაულის, როგორც ასეთის, პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია. ამიტომაც, რომ კანონმდებელი ქმნის ამა თუ იმ დანაშაულის შესატყვის შემადგენლობას, რომლის პრაქტიკული განხორციელების გარეშე დანაშაულის ჩადენაზე ლაპარაკი არამეცნიერულია.<sup>11</sup> აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ესა თუ ის დანაშაული პრაქტიკულად ხორციელდება მისი საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების შესაბამისად. სხვა საკითხია, თუ არსებობდა მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი.

ამრიგად, რამდენადაც ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან მის მართლწინააღმდეგობაზე დასკვნა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობისას ინდუქციურია, სავარაუდოა, – ამდენად, **დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ინტერესებს, მაგრამ ვერ პასუხობს**

**ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციისადმი წარდგენილ მოთხოვნებს.**

ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის მოთხოვნებს პასუხობს დანაშაულის ცნების **გენებისური მოდელი**, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე აიგება. ყალბია დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის რუსული იდეა, რადგან დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი, პირიქით, გაჰყავს სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ,<sup>12</sup> ხოლო მართლზომიერი ქმედების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის უგულებელყოფა, როგორც ეს ხდება, მაგალითად, სისხლის სამართლის გერმანულ დოგმატიკაში, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. არც ისაა შემთხვევითი, რომ დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობასთან არავითარ კავშირში არაა. სისხლის სამართლის კოდექსის პრევენციული ფუნქცია დავას არ იწვევს, მაგრამ ის საკმარისი არაა. მართლაც, თუ სასამართლოს (მოსამართლეს) განაჩენი სახელმწიფოს სახელით გამოაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად ჩადენისთვის სუბიექტი ნეგატიურადაა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ „პასუხისმგებლობა, ფილოსოფიური გაგებით, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიურია. აქედან გამომდინარეობს, რომ პიროვნება მოწოდებულია, მოვალეობას მოეკიდოს პასუხისმგებლურად, ესე იგი, **ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით, რაც ნებისმიერი ნორმალური ფსიქიკის მქონე პიროვნების ღირსების საქმეა.** აქ, როგორც ჩანს, საქმე ეხება მართლზომიერი ქმედების ჩადენას, რომელსაც სამართლის ნორმის

11 უფრო ვრცლად იხ. ნაჭყეია გ., 2000. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი. თბილისი, გვ. 73–85.

12 ნაჭყეია გ., 1997. სისხლის სამართლის საგანი. თბილისი.

მოთხოვნა მართლწესრიგში გადააქვს. ამით კი დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანი ხორციელდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“. ეს მიზანი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა მართლზომიერი ქმედებით ხორციელდება. მართლაც, სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის მომენტიდან საზოგადოების ყველა შერაცხუნარიანი წევრი ვალდებულია, მოქმედებდეს მართლზომიერად და მოწოდებულია, ამ ვალდებულებას მოეკიდოს უპასუხისმგებლურად, ესე იგი, ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით და ქმნიდეს მართლწესრიგს. საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. „საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის მეორე პუნქტში კი ნათქვამია შემდეგი: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.“ აშკარაა, რომ ამ პუნქტში გამოხატულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა საფუძველი. მაგალითად, აუცილებელი მოგერიება ნებისმიერი ადამიანის უფლებათა, მაგრამ მომგერიებელი მოწოდებულია, ამ უფლების განხორციელებას მოეკიდოს უპასუხისმგებლურად, რათა არ დაარღვიოს აუცილებელი მოგერიების ფარგლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ნეგატიურადაა უპასუხისმგებელი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის (საქ. სსკ-ის 113-ე მუხლი).

სისხლის სამართლის სუბიექტის, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატის, ვალდებულება, მოქმედებდეს მართლზომიერად, სახელმწი-

ფოსთან სუბიექტის ნორმატიული (ობიექტური) კავშირის ნიშანია, ხოლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულების აღსრულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლური დამოკიდებულება სახელმწიფოსთან სუბიექტის სუბიექტურ კავშირს გამოხატავს. აქედან გამომდინარეობს, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევა ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია, ხოლო მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სუბიექტის ბრალს სინონიმი.

დანაშაულის ჩადენა იწყება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო ანუ ბრალეული დამოკიდებულებიდან, რომელიც, თავის მხრივ, არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას. ეს კი ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია. ბოლოს ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა.

ამრიგად, დანაშაულის ჩადენა იწყება არა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელებით, რომელიც თითქოს პირდაპირი ლოგიკური გზით არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, როგორც ეს დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელშია გამოხატული, არამედ სუბიექტის ბრალიდან, როგორც სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის უპასუხისმგებლობის სინონიმიდან, რის გამოც სახეზეა დანაშაულის ცნების გენეზისური მოდელი. დანაშაულის ცნების ამ მოდელს „გენეზისური“ იმიტომ ჰქვია, რომ მისი ჩადენა იწყება სუბიექტის ბრალიდან, რომელიც მართლწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ბრალი იმდენად არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რამდენადაც ბრალეულ გადაწყვეტილებას ლოგიკურად მოსდევს ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება. ეს

ფაქტი დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებით, რომლებშიც კანონმდებელი, წარსულისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით (მაგალითად, პირი აცნობიერებდა, ითვალისწინებდა და ა.შ.), გამოხატავს იმ გარემოებას, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ლოგიკურად წინ უსწრებს ბრალის ფორმები, რომლებიც ბრალის გენებისურ ბუნებას გამოხატავს. **ბრალი დანაშაულის გენებისურ მოდელში პირველია, ხოლო ის, რაც გენებისურად პირველია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში მესამეა, რადგან ნეგატიური პასუხიმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილშია გადაწყვეტილი, არამედ სუბიექტის ბრალი.**

ამრიგად, დანაშაულის გენებისურ მოდელში ბრალი დანაშაულის ცნების პირველი ელემენტია, მაშინ, როცა იგი დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელში მესამეა. თუ დანაშაულის ცნების გერმანულ მოდელში ქმედების შემადგენლობა პირველია, დანაშაულის ცნების გენებისურ მოდელში, პირიქით, მესამეა.

ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია იწყება გამოძიების ეტაპზე დადგენილი ქმედების შემადგენლობის გადამოწმებით, ხოლო შემდეგ გრძელდება ამ შემადგენლობიდან ქმედების მართლწინააღმდეგობაზე უკუდასკვნით, ესე იგი, რედუქციით, სადაც დანაშაულის გენებისურ ბრალდებულმა დაარღვია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება და, მაშასადამე, იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ.

აქ გაკეთებული დასკვნის ლოგიკური ბუნების გასაგებად მოკლედ განვიხილოთ რედუქციის ცნება. რედუქცია ზოგადად ნიშნავს რაიმეზე რაიმეს დაყვანას. აქედან გამომდინარე, არსებობს ამ დაყვანის უარყოფითი მხარეც, რასაც რედუქციონიზმი ეწოდება. მაგალითად, რუსული სისხლის სამართლის დოგმატიკაში დღემდე გავრცელებულია მტკიცება,

რომ პასუხისმგებლობა თურმე უნდა განისაზღვროს, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის მოვალეობა, ითმინოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები. სინამდვილეში მოვალეობა არის არა პასუხისმგებლობის, არამედ ურთიერთობის ელემენტი. მაშასადამე, დებულება, რომ პასუხისმგებლობა არის მოვალეობა, ნიშნავს ურთიერთობაზე პასუხისმგებლობის დაყვანას ანუ რედუქციას, რაც ამახინჯებს როგორც ერთს, ისე მეორეს. ეს რედუქციონიზმი მიუღებელია. მაგრამ არსებობს ისეთი რედუქცია, რომელიც რიგ შემთხვევაში დასაბუთების ლოგიკაში მეტად აუცილებელია. ამ თვალსაზრისით იგულისხმება შედეგიდან საფუძველზე უკუდასკვნა. რედუქცია შედეგიდან საფუძველზე დასკვნის ხერხია. ირკვევა, რომ შედეგიდან საფუძველზე დასკვნის აუცილებლობა არის რედუქციის აუცილებლობა. შედეგი არის საფუძვლის შედეგი, შედეგისათვის აუცილებელია საფუძველი, ხოლო შედეგისათვის საფუძვლის აუცილებლობა არის ის აუცილებლობა, რომელიც რედუქციაში უნდა განხორციელდეს.<sup>13</sup> მოკლედ რომ ვთქვათ, რედუქცია არის საფუძველზე შედეგის მიყვანა და შედეგის საფუძველში გამართლება. „საფუძველი“ მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს დანაშაულის გენების, საიდანაც დანაშაულის ჩადენა დაიწყო. ცხადია, ამ თვალსაზრისით თავდაპირველად ბრალია, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი. მაგრამ უკვე ითქვა, რომ ის, რაც გენებისურად პირველია (ბრალი), ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ბოლოა, ესე იგი, მესამეა. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე ითქვა, ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია იწყება ბრალდებულის მიერ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გადამოწმებით (რაკი გამოძიების ეტაპზე ეს შემადგენლობა მეტ-ნაკლები

13 ნერეთელი ს., 1965. დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, გვ. 646.

ხარისხით დადგენილია). იგულისხმება, რომ ხსენებული შემადგენლობის განხორციელებისას არ არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება. ასეთ ვითარებაში ქმედების უკვე განხორციელებული შემადგენლობიდან სასამართლო აკეთებს უკუდასკვნას ანუ რედუქციას საფუძველზე, ესე იგი, დანაშაულის გენეზისზე, სადაც ბრალდებულმა დაარღვია მართლზომიერი ქმედების ვალდებულება და, მაშასადამე, იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ.

**შენიშვნა:** ამ მიმართებით მოსამართლეს ლოგიკურად უწევს სისხლისსამართლებრივი უმართლობის დადგენა, მაგრამ ამჯერად უმართლობის პრობლემას ვერ შევხებით, რადგან იგი ცალკე განხილვას მოითხოვს.

გამოძიების ეტაპზე დადგენილი ბრალის ფორმებიდან სასამართლო უკუდასკვნის ანუ რედუქციის წესით ადგენს, რომ ბრალდებული მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდა უპასუხისმგებლოდ, ესე იგი, ბრალეულად, რის გამოც იგი ნეგატიურადაა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე. აქ მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდებულის მიერ ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების, მათი შეგნების, მათდამი დამოკიდებულების ბუნება და ხასიათი, რაც ბრალის სისხლისსამართლებრივი ბუნების მაჩვენებელია.

მაშასადამე, აშკარაა, რომ: 1. სასამართლოს (მოსამართლეს) ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ფაქტიდან კატეგორიული უკუდასკვნა გამოაქვს (ხდება რედუქცია, ესე იგი, დაყვანა დანაშაულის გენეზისზე), როცა ირკვევა, რომ ბრალდებულმა ქმედების ეს საკანონმდებლო შემადგენლობა განახორციელა მართლსაწინააღმდეგოდ. 2. სასამართლოს ბრალის ფორმებიდან გამოაქვს უკუდასკვნა რედუქციის წესით ბრალის გენეზისზე, ესე იგი, ბრალის ფორმები ბრალზე დაჰყავს, რითაც სასამართლო ადგენს ბრალისა და მისი

ფორმების ერთიანობას. ამის საფუძველზე კი სასამართლო ბრალის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად ახორციელებს ნეგატიური პასუხისმგებლობის დიფერენციაციას და შემდეგ როგორც ნეგატიური პასუხისმგებლობის, ისე სასჯელის ინდივიდუალიზაციას.<sup>14</sup>

სამწუხაროდ, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისას მართლწინააღმდეგობაზე, როგორც წესი, საგანგებოდ არც მსჯელობენ. როგორც ჩანს, აქაც ბატონობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგოდ, თუ ამასთან არ არსებობდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. მაგრამ რამდენადაც ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობიდან დასკვნა ქმედების მართლწინააღმდეგობაზე სავარაუდოა, გამოდის, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ამ ასპექტით ვარაუდზეა აგებული, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმად, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად დადოს ვარაუდი.“ მით უფრო რთულია ამ მიმართებით ბრალის, როგორც სახელმწიფოს წინაშე ბრალეულის უპასუხისმგებლობის, შესახებ სასამართლო პრაქტიკაში დანერგვა, როდესაც ბრალის ტრადიციულ თეორიებს (ფსიქოლოგიურ თუ ნორმატივისტულ ქაპანწყვეტას) დღემდე ვაწყდებით. ასეთ ვითარებაში ამ სტატიის დასმული პრობლემები შემდგომ გაშლასა და გაღრმავებას მოითხოვს.

14 უფრო დანერგვით იხ. ნაჭყებია გ., 2015. სახელმწიფო ხელისუფლებათა განაწილების მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები, „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“. თბილისი, გვ. 173-176.



# COMPARATIVE ANALYSIS OF GERMAN AND GENESIS MODELS OF CONCEPT OF CRIME

Guram Natchkebia

*Professor Emeritus of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Law; the Director of the Scientific Research Institute of Criminal Law and Law of Criminal Procedure, Academician of Philosophical and Legal Academies of Georgia, Member of the Union of Law Scientists*

**KEY WORDS:** action, illegal, induction

## RESUME

In the Section 1 of Article 7 of Criminal Code of Georgia, it is reflected German model of the concept of crime with the following three elements: composition of action, its illegitimacy and blame of entity. Unfortunately, the genesis of criminal action it is not taken into consideration in this model of the concept of crime, as the conduct of the crime does not begin with the implementation of legislative composition of action, but with the blame of the entity, when the latter approaches to the action of lawful obligation with irresponsibility, i.e. with guilt. This infringes the obligation of lawful acts and then legislative composition of the action is executed. This is genesis model of the concept of crime, in which the criminal elements are set into contrary order to the German model: blame, illegitimacy and composition of action.

Under theoretical analysis of the German model, as a rule, those methodological principles are not taken into consideration. In accordance with those principles, the fact of legislative composition implementation (if there isn't any excluding fact of illegitimacy) inducts the

conclusion of the illegitimacy of this action (as from the essence to the turn) i.e. it is much likely that the German model satisfies the investigation interests of criminal case but, however, can not response to the requirements set by the court to qualify the action as a crime. The genesis model of the concept of crime corresponds to these requirements - when the court makes a decision

in accordance with the criminal genesis firstly it defines illegitimacy of the action, whether entity had infringed the obligation of lawful action or not, secondly it defines the blame of the entity, whether the entity approached to the action of lawful obligation with irresponsibility or not, i.e. with guilt and conducted a legislative criminal composition.

#### NOTES:

1. See, G. Natchkebia Anniversary Collection, 2016. Tbilisi. (In Georgian)
2. See, Natchkebia G., 2015. Practical Recommendations for the General Part of Criminal Code of Georgia. Tbilisi, pg. 222-234. (In Georgian)
3. See more at Prof. Turava M., 2011. The Doctrine of Crime. Tbilisi, pg. 326. (In Georgian)
4. See, Turava M., 2013. An Overview of General Part of Criminal Law. Tbilisi, pg. 164. (In Georgian)
5. See, Problems of Criminal Law, volume 3. 2013. Tbilisi, pg. 169-170. (In Georgian)
6. See, Tkesheliadze G.T., 1975. Case Law and Criminal Law. Tbilisi, pg. 51-54. (In Russian)
7. See, Jibuti G., 1975. Inductive Inference Nature, Tbilisi, pg. 121. (In Georgian)
8. See, Tsereteli S., 1965. Dialectical Logic, Tbilisi, pg. 632. (In Georgian)
9. Baumann (Wtber) Mitsch, Srafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 1995, s. 281- 282. (In German)
10. Roxin C. 2006. Strafrecht, Allgemeiner Teil, Band 1. Munchen, s. 197. (In German)
11. See more at Natchkebia G., 2000. Introduction to General Theory of Qualification of Crime. Tbilisi, pg. 73-85. (In Georgian)
12. See, Natchkebia G., 1997. The Subject of Criminal Law. Tbilisi. (In Georgian)
13. See, Tsereteli S., 1965. Dialectical Logic, Tbilisi, pg. 646. (In Georgian)
14. See more at Natchkebia Guram., 2015. The Problems of Qualification of the Crime in Accordance with the Separation of Powers, "The Guidelines on the Criminal Case Verdict Form, its Validity and Stylistic Operability of the text." Tbilisi, pg. 173-176. (In Georgian)